

საქართველო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 37.

სამთავარი 5, 1893 წ.

№ 37.

ზინაძისა:— ჩემს მუხას, ლექსი ი—ლისა.— კრიტიკული ესკიზი აზროვნებაზე ფხასი — მთავარე XX სა.— მისი უწმინდესობა უზენაესი პატრიარქი და კათალიკოსი ყოველთა სომეხთა მკრტიხ ხრიმიანი დ. ტ. დ—ცისა.— დაბარებული, ლექსი ბაჩანასი.— ამერიკის ველური წითელკანიანი კაცები.— ლევენდა თამარზე.— * * * ლექსი ენ. ნ. ორბელიანისა.— კრედიტი და მისი მნიშვნელობა გ. გველესიანისა.— სახუმარო გასართობი.— განჯხადება.

ჩემს მუხას

მართლის თქმის დროს არ მიმუხბოლო,
არ გამხალღ სხვისა მონად,
სულელ ბრბოთ არ შემაერთო,
არ შევიქნე თანა-სწორად.

დეე, გამკიცხოს ქვეყანამ,
მიზნადებდეს ტანჯვა-ვენებას;
არ შეედრკები; გაუამხნეებ
მტკიცე აზრს და სულის შეებას.

მინდა, რომ ერი მიცნობდეს
სიმართლის მქადაგებულად
და თესლნი გონებისანი
შემქმნას მოსაწევლად.

ვით მზის დამწვარსა ნიადაგს
ეუფუნა წვიმა ალბობდეს;
ჩემც კრემლობიც მინდა რომ,
მხეც ქნილსა გულსა ალტობდეს.

მსხვერპლად მიგულოს ქვეყანამ,
ძმობამ და ურთი-ერთობამ,
ოდონდ კი კვალი უქციოს
შინაურთ კილვა-ურცხობამ.

რომ ვებდე აწმყოს, გულს მიკლავს
ამ დროის კაცთა ქვეყანი—
არ მყოფნის, მინდა საკიცხად
ზღვის გუბედ მღვარი მელანი.

მა ძმას ლალატობს, დედა შვილს
კოლი ქმარს, შვილი დედასა,
და უარს ჰყოფენ უფიცნი
ქეშპარიტ ქრისტეს მცნებას.

ერთს კაცს რომ თვისი თვისება
ვერ აეწონოს რიგზედა,
მან როგორ უნდა ღაღად ჰყოს
დღე მუდამ კილვა სხვაზედა?

იმ კაცს რომ მთელი ქვეყანა
ბოროტად, ავად იცნობდეს,—
აბა, მას თავის სახელი
რა გზით-ღა უნდა მოსწონდეს?

ფუ, ამგვარ კაცსა! არ მინდა.
მაშოროს ამის მცნებას;
ხმა სინანულის ჩამძახის,
რათ ვაქცე ყურადღებასა.


მაგრამ ეს არის ვაგლახი,
სხეიანიცა მისგან ჰხდებიან;
თვით თავი მოაქვთ კაცდა,
ცხოველთ კი ემგზავსებინა.

ამას გთხოვ, მუზავ, თუ გინდა,
გამომიყვანო წრეშია;

ამგვართა კაცთა მასორი
აწმყოს და მომიაღწია.

არ ეშობო, მათგან დევნილი
ჯვარს ეცევა ამ სოფელშია;
ოლონდ კი ჩემი აზრები
დარჩეს სახსოვრად ერშია.

იოსებ ივანაშვილი



კრიტიკული ესკიზი ამროინებამე

„სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს,
„სხვისა არ გვესმის ტყვილი...“
გ. ორბელიანი



მ დროის ჩენი ლიტერატურა ვერ იქებს თავს ხანგრძლივი წლოვანებით, რომლის განმავლობაშიაც იგი მშობელს ქვეყანასა და საზოგადოებას ემსახურება; ვერც იმით შეუძლია თავი მაღლა აიღოს, რომ მან გაუანტა ხალხში უმწვერვალესი იდეა-ქმეზარიტებანი და შეავარა მას თვისი ენაობა მდგომარეობა, რათა ძლიერ-მოსილ ჰხალხთა შორის თავი გამოიჩინოს და ჭკუა-დამჯდარად, ღრმად ჩაუყვირდეს საზოგადოთ მსოფლიოსა და კერძოთ საზოგადოებათა სელა-წარმატებას... მაგრამ ამ მცირე წლოვანს ჩენს ლიტერატურას ამ თუთხმეტის წლის წინ ერთი რამ თვისება მაინც ემჩნეოდა, რომლითაც შეეძლო მას თავიც ეჭო და ამ თავის ქებისა კი არ შერცხვენოდა. მე მოგახსენებთ ჩენის ლიტერატურის ზატაოსნება-სათინოებას¹.

იმ დროებაში ჩენის ლიტერატურის სარბიელზე ისეთი მოღვაწენი გამოდიოდნენ, რომელთაც თვისი საქმის დიდად და სათნო მწიწინელობა გულწრფელად სწამდათ. ეს მოღვაწენი მხოლოდ იმ ფიქრით იყვენ გატაცებულნი, რომ შეძლებისდა-გვარად სათნობითა და პატიოსნებათ ემსახურნათ საზოგადოებისა და მთლად ხალხისათვის და ხელი შეეწყობთ მის გამაყვანისათვის დაბეჭდვებულისა და უნუგეშო მდგომარეობისაგან. აბა, რა უნდა ექნათ მეტი, როცა ეს მოღვაწენი ღიდისა და ერცელის განათლების მექონნი არ იყვენ; რა უნდა ექნათ მეტი, თუ მათ ვერ ენებრებოდით მოვარებინათ ღრმა და ქარ-ცეცხლში გატარებულნი მსოფლიო შეხედულობა, რომლის მეხობებით ნათლად და საფუძვლიანათ შესძლებოდით ჩახედვა უცხო ერთა და აგრეთვე ჩენის ხალხის მდგომარეობა-ვითარებაში, რომ ამით სამაროლიანი პატივისცემა და სახელი დავმსახურათ საქართველოს გარე ქვეყნებში. ყოველი ესე ჩენს ლიტე-

რატურაში ძოღვაწითათვის შეუძლებელიცა და მოუხერხებელიც იყო სხვა-და-სხვა გარემოებისა გამო, რომელიც მათზედ დემონური ძალ-დატანებით მოქმედებდა და მოქმედებს დღესაც... ხოლო შეუძლებელის მოთხოვნა იესკანზე ხომ უბრალო და უსაფუძლო ქირვეულობა: არსად და არასადგეს აზგან გაქცევა გარემოებათა და ზარობათა ჭე-გაგვგხსნას და, თუ ადგეს რამე გაკეთებულა, ეს მხოლოდ გაკეთებულა კეთილ-სინადესაერ მოქმედ-მადგაწე-თაგან მის დრასა და გარემოებათა შესაფერად.

ჩენს მოღვაწეთა ცხოვრებაში რომ ჩახედოს კაცმა, რაც გულის ნადები ქონდათ, კარგათ თუ ავად, მას აღიარებდნენ.

მათი გულისთქვა და გულისნადები კი ნამდვილი ზნეობრივი კაცისა იყო, ამისთვის ერსა და საზოგადოებაზედ გარყენილებით არ უნდა ემოქმედათ. ამ ყაზად კი სულ სხვაა.

ახლა ამ ათის წლის განმავლობაში ჩენს ლიტერატურაში ისეთი „მოღვაწენი“ გამოვიდნენ, რომელთაც ცხოვრებაში კეთილ-სინიდიისიერთა არ ჩაუხედავთ, ცხოვრების დაუდგრომლობასა, ცვალებადობასა და შრავალ-ფერობას ღრმად არ ჩაკვირებინან და თავის ჭკუა-გონების განსწავლა-განვითარებაზედაც გულმოდგინებით არ უზრუნვდით. ისინი ვერ მიხვდარან, რომ მხოლოდ ასეთს დამზადებას შემდეგ შესაძლებელია საზოგადოებას გულწრფელათ ემსახურონ და საკეთილთა ხელის ჩაკიდება მშობლურის ლიტერატურის გაუმჯობესობისათვის. ეს „მოღვაწენი“ ვერ მიხვდნენ, რომ არც (ერცა), რომელშიდაც მათი წინა-მოაღვიდენი მოქმედებდნენ, სრულებით არ ემსავსებდა მათს ვარს შემომდგარს არც: ის პატივი და სიყვარული, რომელიც უწინდელმა მოღვაწეებმა მოიპოვეს, პირდაპირი მისი შედეგი იყო, რომ ისინი ზნეობითაც, ცოდნითაც და მოხერხებითაც ბევრით მაღლა იდგნენ მაშინდელ საზოგადოებაზედ. ახლაც თუ გსურთ ისეთივე პატივი დაიმსახუროთ, საზოგადოების გულის პასუხი² ნამდვილათ უნდა შეიგნოთ, მისი „სულის პატივი“ ზედ მიწენით უნდა

იკლდეთ,— და ეს შესაძლებელია მეტად ხანგრძლივს შრომასა და ფიქრს შემდეგ; მარტო გულს რომ აყვით, ვერას გახდებით. საქმე შემდეგშია:

ჩვენმა საზოგადოებამ ამ ქაიამდ ცოტაც არის თვალი გამოახილა, გონებას მოეგო, მკვირცხლად აღენებს თვალ-ყურს, თუ რა ხდება მის გარშემო, სანუგეშოდ ჩენდა მეტად განვითარდა, გაიზარდა და ეს აშბაი მოხდა არა ჩენისა, არამედ უცხო ერის ლიტერატურის ზეგავლენით. ეს ფაქტი დიდს მნიშვნელობას არის და დიდს საგონებელში უნდა შემკუყენდეს ყველა, ვინც კი ჩენის ერის მომავალზედ ცოტად არის, ფიქრობს. საზოგადოებაში აღიძრა სურვილი განების უკეთესად განვითარებისა და აზრის გონებრივად ზრდისა. ეს სამართლიანი მოთხოვნილება და მას, როგორც ყოველს სამართლიანს მოთხოვნილებას, გონიერული დაკმაყოფილება უნდა და თუ ჩვენმა ლიტერატურამ ეს მოთხოვნა საზრდო დროზედ არ მიაწოდა, არ გადასცა აზრისა, შეგნულდებისა და ცოდნის დამაკმაყოფილებელი ღონისძიებბა, ჩენი მკითხველი საზოგადოება იძულებული იქნება თან-და-თან უფრო მიეკვდოს, მიემხროს უცხო ერის ლიტერატურას, ამ უცხო ერის ენაზედ იბაასოს, ილაპარაკოს და ქართული ისედაც წყალ-წოდებული—სრულებით დაიფიწყოს... ამ ნაირად ლიტერატურა იმ ერისა, რომელიც ჩენზედ ასე განაბრანებულია ყველაფერში და ჩენებურის ცოტეების გადასხვეფერებას ფიქრობს, მეტად მტკაცე და აუცილებელი საშუალება ექნება ჩენის ერის გადასხვეფერებად. საქირა მკითხველი ჩაუკვირდეს უცხო ერის ლიტერატურის ასეთს მამართლებას. ჩენს ენაწოდელს „მოღეყნებს“ კი ეს ნაკლებათ ენაღლებათ.

ჩენს ბედშავს მდგომარეობაში მყოფის და მცონარე ლიტერატურის თვალ-ყურის მგდებელს ეს აზრი უნებღიეთ თავში მებადება და სულსა და გულს მიწყოლებს. მისი არ თქმა ვერ მომიხერხებია. იქნება ქვევით, სადაც ბ-ნ მეველის ერთ ერთ მეთაურის გამო გვექნება საუბარი, მკითხველი დარწმუნდეს, რომ ჩენგნით ზემოთ გამოთქმული აზრი ცოდნის წამება და სიცრუე კი არ არის, არამედ სრული ჭეშმარიტება და აგრეთვე შესაძლებელია სხვა რაიმე საგულისხმვიერო ნახოს. ყველასათვის, ვინც კი საზოგადოებათა წინ-სვლასა და განვითარებას დაჭკვირებია და აკვირდება, ცხადია, რომ ეს წინსვლა და განვითარება ყოველთვის და ყოველგან გამოწვეულია უკმარობის მიზეზით, უკეთესობისადმი ლტოლვილებით, თუნდ რომ ეს უკანასკნელი ლტოლვილება ბევრ ჭკან-წყეტადაც დაუჯდეს მოასპარე-

ზეს. ვინც ყოველ - დღიურის ცხოვრებით სრული კმაყოფილია, ვისაც აღამიანური გრძობა უკმარობისა გულში არ უღვივის,—მას არც წარსული და არც მომავალი აქვს—ის მხოლოდ აწყვითი ცხოვრებს, ანუ უკეთ ესთქეთ, ის მხოლოდ მცონარეობს, არ იძიებს და არ მოქმედობს. ცხოვრება კი განწვიებებული ბრძოლაა, განუწყვეტელი მოქმედება და მუდმივი ცვალებადობაა. სწორეთ ეს თვისებაა მიზეზი, რომ ცხოვრება სიკვდილისაგან, უკუნისაგან განიჩრება, განსხვავდება. ასე რომ არა ყოფილიყო, მაშინ ვაუტებარი იქნებოდა: საზოგადოება, ერი და მთლად კაცობრიობაც თუ რათ ვთაყვანება, აღმართებს გადავ, რჩეულ გეამთ, გენიოსთ. გენიოსების უპირველესი და უღარესი თვისება კი ის არის, რომ ისინი ან სულ ახლდ მოთხოვნილებას ჭიადებენ სხვებსა, ან და უკვე აღმართულს მოთხოვნილებას შესაფერად-შესამებით აკმაყოფილებენ. ვერმე კი ეს გენიოსის მიერ გამოწვეული მოთხოვნილება აღამიანის მითვის გეარში ერცელდება მიმბადელობით, განწყობებით. მიმბადელობას საზოგადოებისათვის ხომ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ორგანულ ბუნებაში გეართათვის წარმოშობას.. გრძობა უკმარობისა ყოველანაირს განვითარებას საფუძველია, მიზეზია. ახლდის მოთხოვნილებას დაბადება გადავ წინა მობრება განვითარებას ახლდ საფუძურზედ ფეხის შედგმისა, განწყობტელის გვალებადობისა.

მარას ბ-ნი მეველისა არ იყოს, მოთხოვნილებაცა და მოთხოვნილებაც. მოთხოვნილება, როგორც კერძო აღამიანისა, ისე მთელის საზოგადოებისად მაშინ არის საგულისხმვიერო და საკეთილო, როდესაც ის სასიცოცხლოა, ე. ი. როდესაც ის მართლად აღამიანურია და ქვენა ძალთა და სურვილთა გეღენით არ არის წარმოშობილი, როდესაც ეს მოთხოვნილება აუცილებლათ საქირა წარმატებისა და განვითარებისათვის. თუ კი მოთხოვნილებას ასეთი ფერი აქვს და ასეთის თვისებისაც არის, მაშინ მის დაკმაყოფილებას ხელი კი არ უნდა შეუშალოთ; მას რომ წინაღმდეგობა გაუწოდოს, მორალისტად კი არ უნდა გახდეს, არამედ უნდა იზრუნოთ და რაც ძალი და ღონე გაქეთ, ეცადოთ, რომ ეს მოთხოვნილება თანაბარად, შესაფერად დააკმაყოფილოთ, თორემ ამ სამართლიანს მოთხოვნილებას მაინც ვერ მოსპობთ და დრომდეს მანც უპართლოდ დაკმაყოფილებს თავის მორალისტობითა და დარბევა-ქადავებით ვერას გახდებით. პირიქით, თუ შეამნიეთ, რომ ერთი რომელიმე უწინდელი, წარსულისაგან დარჩენილი მოთხოვნილება უფარვისა,

დროისა და ეკმის შესაფერი არ არის, მაშინ ამ მოთხოვნების მოსასპობლათ უნდა ახალი, უფრო სამართლიანი და შესაფერი მოთხოვნები აღძვრათ. მაშინ თქვენ და აღუხმარებლადაც ამ ორ მოთხოვნლებათა შორის ნამდვილი არსებითი ბრძოლა იჩენს თავსა და უფარვის მოსპობა, მოიკვეთება. უნდა იცოდეთ, რომ ვადამეტ, საზღვარს გადასული ჭრეულობა ადამიანის ხასიაზში არ არის. საზოგადოებათა განვითარება და დარღვევით კი არა ჰხდება, არამედ ისე, რომ ერთი სოციალური ფაქტი მხოლოდ მეორეს უთმობს ადვილს.

ასე-და-ამ ნაირად, საზოგადოებაში და კერძო გეგმაში ერთი მოთხოვნა მერსე ებრძვის. მოთხოვნა სხვა-და-სხვა ნაირი და მრავალფეროვანი და როგორც საზოგადოებისა, ისე კერძო გეგმის განვითარებასთან ერთად იცვლება, სხვა-ფერდებია: არსად არის საზღვარი, სადაც კაცობრიობა უნდა შეჩერდეს და სთქვას, რომ ყოველივე ჩემი მოთხოვნა დავიკმაყოფილე, სურვილი აღესრულე, წყურვილი მოვიკალი და აქ კი უნდა შეჩერდეთ. განვითარების ერთი და რთულის საზოგადოების მოთხოვნა აგრეთვე რთულია. ტყვილად ჰგონია ბნ მველეს, რომ საღი გონების პატრონი კარგი სმ-პაშიანი, კარგი ჩაცმულ-სურთითა და პაერთი დამკვირვებელი. აგრე რომ იყოს, მაშინ სიკაცებელე აღარ ელარებოდა და უკეთესა ადამიანება, თითოე საჩენებელი გეგმა წამსვე თავს მოიკლავდენ. მაგრამ ეს ასე არ არის. საქმეც ის არის, რომ ასეთი მოთხოვნა პირვანდელია და ადამიანს იპ თავიდანვე თან-სდევს. მაგრამ განვითარებასა და წარმატებასთან ერთად ადამიანმა ბევრი ისეთი მოთხოვნა შეიძინა და შეითვისა, რომ ის მეორე ბუნებასათე შეისისხლობოდა. ამ მეორე ბუნებას ადამიანისას სქლადეს მსხრეს უწოდებენ და მხოლოდ ისე თავებულ-ბელ-აღებულნი, კეუს შემწყვალნი მორალისტები, როგორც ბ. ლ. ტოლსტოი ბრძანება, ურჩევენ ადამიანს, რომ მან უარი ჰყოს თვისი არსების საუკეთესო ნახეარა და იტრიალოს მხოლოდ პირვანდელ მოთხოვნებათა წრეში. *) მაგრამ ცხოვრება და ადამიანის ჩვეულებრივი ვამკრახობა ასეთს ვე-დაგებელთ ყურს არ უდღებს, და კარგადაც შერება, რასაკვირველია. რაკი ადამიანმა პირვანდელი მოთხოვნა დავიკმაყოფილა, — ამ შრით ადამიანი დანარჩენ ცხოველთაგან სრულებითაც არ განსხვავდება, — მერმე შეიძლო ნამდვილი ადამიანური

სურვილებისა და საწადელის წამოყენება და მათი განხორციელება საკეთილოდ და სასიქადულოთ თავისის გეარისა მეტად შემცდარი და ღრმად ჩაუფიქრებლობის შედეგია ის აზრი, რომელიც ჰგონებს, რომ ადამიანმა, რაკი პირვანდელი მოთხოვნა დავიკმაყოფილა და დრო და მოცალემა იშოვა, ეს დრო და მოცალემა მით გამოიყენა, რომ ცუდ-ლელტობასა, ყველაფერზედ გულის ატრუებასა და უსაუნო ოცნებას მიჰყო ხელი. არა, პირიქით ადამიანმა თვისი ჯინშის სასიქადულოთ ისარგებლა ამ დროითა და მოცალეებით და ყველა ის, რაც კაცს ადამიანებს: — მეცნიერება, ხელოვნება გულ-წრფელი და მოუსყიდელი ზრუნვა ერთისა მეორეზედ — მხოლოდ ამ მოცლილობის დროს მოიპოვა და შეიძინა.

ასე მოუფიქრებლად და სიფრთხილის უქონლობით არ შეფერს პუბლიცისტ ბაასი, როგორც ბნი მველე იქვეა. პუბლიცისტის საგანი, რომელზედაც ბაასობს, მოვლენა, რომელსაც უნდა მსჯავრი დასდოს, მრთელის თვისი სიგრძე-სიგანით უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რათა მისი ბაასი საზრისანი იქნეს და ის ცდომილების მარგეში არ ჩაიღვრებეს.

კიდევ უფრო მოუფიქრებლად, მიუხედავრელად და შოვლენათა არა რიგიანი განჭვრეტით იქვეა ბნი მველე მაშინაც კი, როდესაც ამბობს, რომ ქართველს მეტად ადვილად შეუძლია დავიკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნა, რაკი საღის განვითარების პატრონისთვის საქმიაოა. ასე რომ იყოს მართლა, ჩვენს ბედს ძალი არ დაყვდა და მის მეტი არა გვეთქმია-ღარა: თქვენს პრს შაქარი-თქო. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს ასე არ გხლავთ. სრული მართალი და ცხოვრების სინამდვილე გვეუბნება, რომ ქართველს პირვანდელ მოთხოვნებათა დავიკმაყოფილება მეტად გაძნელებული აქვს (ნამდვილს ადამიანის მის მოთხოვნებებსა, ამა, ვინდა დავიდევს!) ერთი იმიტომ, რომ ის განვითარების შესაფერსა და საქორო საფეხურზედ არა დგას და მეორეც კი იმიტომ, რომ ქართველი მონაა, ყოველს უფლებას მოკლებული, რომ თვის საქორებაზედ იზრუნოს, ხოლო იმავე დროს თვის ადგილ-მამულს კი, ვისაც მსურს, მას მიუბოძებს. ცხოვრების სინამდვილესთან ამ ნაირად შეუფერებელი შეხედულობა, როგორც ბნი მველეს აქვს, სხვა მეორე არც მინახავს, არც მხმენია.


ფხა.

) იხ. იგვირის 9 ივლისის ნომერი 1893 წ.

მ თ ვ ა რ ე



ა მოსაწყენი რამ იქნებოდა ჩენი დედა-მიწის ბნელი ლამეები, რომ ბუნებას მის გასაშენებლად, მის პოეტურ სამკაულად არ ჩამოეკიდნა უფსკრულს სივრცეში ეს ნათელი ბურთი. თვით კაცის გამოხატულებასაც ბევრი პოეტური სხივი და სინარჩავე მოაკლდებოდა, იმას რომ გრილ შემოდგომისა და ზაფხულის მიწყნარებულს ლამეში გულის დასატყობად და აღშფოთებულს სულის და მამშიდებელ მალამოდ არ გაეჩინა ეს მოქაოქათე არსება. ხშირად საიდუმლო გულის ტანჯვას შეყვარებულსას მარტო ეს ციური მნათობი აქარევებს, ხშირად ის არის მხოლოდ მისი მალხინებელი და ნუჯეშინისმცემელი, როცა ნამდვილი საყვარელი თვალითაგან მთვარეულია და შორს წასული. ეს არ გამოუტყდა წყნარს ზაფხულის ლამეში მწვანე მოღზე გულამა გაწოლა და ტფობა მთვარისა, რომლის



ბადრს სიმრგვლეზე ზოგი ალაგი მეტად განათებულა და ზოგი კი მეტათალია, მოხინდო ზოლები და ლაქები ზედ დაკრთის. უფრო განათებული ნაწილები მთვარისა ნორჩს გაცოცხლებულს კაცის გამოხატულებას წარმოუდგება ღამაჲ საყვარლის ტუჩებდა, ცხვირად, თვალწამწებდა და, აი, მისი საყვარლის სახეც საიდუმლოდ გამოიხატება ამ ბადრს მთვარე-

ზედ, იგი გაცოცხლებდა შეყვარებულის წარმოდგენაში, იგი მხოლოდ აძლევს შეყვარებულს განშორებულის საყვარლის გულის პასუხსა.

როდესაც ვარსკვლავთ-მრიცხველნი ჩიხებდენ უზარმაზარ ღურბინდებში, მაშინ ეს ღამაჲი ციური მნათობი სამას სამოცათას ვერსიდან ორას ვერსტზე მოახლოვდება და საშინლად ვადიდდება. მაშინ ის ნათელი წერტილები, რომლებზედაც ზემოდ ელაპარაკობდით ვადიქციეან უშველებელ მთის ქედებად

და წვერებათ ხოლო უფრო მეტადი ზოლები მთვარისა ქალებად და მდინარეებად. ამ სახით მთვარე იხატება ამ დღეებელს საერსკვლავთმრიცხველო ღურბინდებში, ანუ უკეთ ვთქვათ, ტულ ეს კომპი უშველებელ დედამიწის ნაირ სხეულად, რომელსაც აქვს მთები ქალები, კლდეები, ზღეები, მდინარეები, ჰაერი, რომელზედაც სიბზო სიცივეა და მაშასადამე ცხოველი და მცენარეც უნდა იყოს. ეინ იცის, იქნება იქ ჩენისთანა კაციც ცხოვრებს და

ჩენს ეეროპილებზედაც ბევრად მეტად განათებული იყოს, რადგან დამტკიცებულა, რომ მთვარე ბევრად უძველესი ხმელეთია, ვიდრე დედა-მიწა. როდესაც ჯერ კიდევ დედა-მიწაზედ ყოველივე გაღმავალი იყო სიციხისაგან და ჯერ კიდევ მისი ქერქი არ გაცივებულა, მთვარეზედ უკვე არსებობდა მგარი მიწის ნიდავთი, რომელსაც რწყაედენ ზღეები და მდინა-

რგები, სადაც ზამთარი და ზაფხული უნდა ყოფილიყო, მაშასადამე მცენარეც და ცხოველიც იცხოვრებდა.

აი, რას მოგვითხრობს სახელგანთქმული ვარსკვლავთ-მრიცხველი ფლამარიონი:

„ძალიან შესანიშნავია ის გარემოება, რომ თუმცა მთვარე დედა-მიწაზედ ბევრად უფრო პატარაა, მაგრამ მისი მცხოვრებნი—თუ კი ესეთი არიან—ჩვენზედ ბევრად უფრო ღიდები უნდა იყონ და მათი სახლები და სასახლეები ბევრად უფრო უზარმაზარნი. ჩვენი ტანისა და ჩვენი ღონის კაცი მთვარეზედ რომ გადაიყვანო, იქ ექვს ჯერ უფრო ღონიერი იქნებოდა, საკვირველად გამარადებოდა და გაკქეიტვებოდა. ათი თავის ტანისოდენს ტვირთს ადგილად ზიდავდა და ორმოც-და-ათის ფუთის წაღებ-წამოდებას ზურგით არაფრად მიიხრედა.

მართლაც, რადგან მთვარეს ისეთი დიდი მიწოდებლობა არა აქვს, როგორც დედა-მიწას, ამისთვის კაცი უფროც ტანს აუშვებს იქ, დიდი გაიზრდება და უფრო სუბუქათაც იმობრავებს, რადგან მთვარის ნიადაგი ისე ღონიერად არ იტაცებს მას. როგორც დედა-მიწა თვისადმი. მთვარეს რომ დედა-მიწისთანა სქელი ჰავრი ჰქონოდა გარს შემორტყმული, მისი მცხოვრებნი ტრეტესა და ფრენას დაიწყებდნენ, მაგრამ მთვარის ჰავრი, ბევრად უფრო თხელი, წმინდა და სუბუქია დედა-მიწისაზედ. ეს კიდევ რა? მთვარის მცხოვრებთა რომ თითოეულს კაცის ოდენი ღონე ჰქონდესთ, მაშინ იმათ უსათუოდ უფრო დიდი, უზარმაზარი შენობები უნდა აეგოთ, ვიდრე კაცს დედა-მიწაზედ.

ისეთი გამოჩენილი ვარსკვლავთ-მრიცხველი, როგორც ჰერშელი, შრეტერი და სიტროვი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ მთვარეზე შეგვიწინავეს ტელესკოპებით რაღაც ნაირი შენობები, რომელნიც უნდა იყონ იქაურ კაცის ხელის ნაწარმოებო. მართალია, რომ იმათ მიმოყოლთა ვარსკვლავთ-მრიცხველთა უარყოფის მათი აზრი და ამტკიცებენ, რომ რაც ჰერშელსა და მის თანამოაზრეებს შენობა ჰქონათ მთვარეზედ, ის უფრო პატარა გორაკებს და ღრატო-ღეღეებს წარმოავიდგენენო, მაგრამ ესეც ხომ არის საფიქრებელი, რომ იქაური ბუნება და მცხოვრებნი იმდენათ განსხვავებულნი უნდა იყონ ჩვენზედ, რომ მათი ხელობის ნაწარმოებს არაერთარი მგზავსება ჩვენსაზედ არ უნდა ჰქონდეს; მაშასადამე მივიყრბა

კაცმა რომ კიდევ შენიშნოს მთვარის შენობა, ვერაზრთი ვერ იცნობს, თუ ის შენობააო. თვალწინაც რომ გვიდგეს მათი ქალაქები, ჩვენ მაინც ვერ მივხედებით, თუ ეს ქალაქიაო.“

ამ სახით მთვარეც ისეთივე შედგენილობისაა, როგორც დედა მიწა; მხოლოდ იმაზედ ბევრად პატარა, ესე იგი, ორმოც-და-ათ ჯერ ნაკლებია. იქ არის რჩილი, თეთრი თიხის ქვის მთები და ამიტომაც ასე ნათენი მოჩანან ისინი დედა-მიწიდან მზის შუქზე. ხოლო როდესაც მზის შუქი აღარ ანათებს მათ, თვით მთვარეც ბნელია და აღარ მოჩანს დედა-მიწიდან. ეს მოხდება ხოლმე მაშინ, როცა მთვარე დაბნელებია, როცა მას დედა-მიწის ჩრდილი მიადგება. რადგან მთვარის ჰავრი მეტად თხელი და წმინდაა დედა-მიწისაზე, ამისთვის მთვარეზედ არც კის კამარა ჭარც კის სინათლე, არც ციავი არ უნდა იყოს. იქ მზის შუქი მხოლოდ მთვარის პირს ანათებს, თორემ კის სივრცეში იმ გვარადვე ბნელია, როგორც ღამეში და ამის გამო ღლისითაც იქ ვარსკვლავები ისე მოჩანან, როგორც ღამეი. მთვარე დედა-მიწისათვის ტრიალებს თავის ელემენტად, მხოლოდ მთვარის დღე და ღამე ჩვენი თვის ოდენია, ასე რომ იქ ჩვენებური თუთხმეტი დღე-და-ღამის განმავლობა დღე და თუთხმეტი დღე-და-ღამის განმავლობა—ღამე-ამის გამო იქ დღეც თუთხმეტ ჯერ უფრო ცხელი უნდა იყოს და ღამეც თუთხმეტ ჯერ უფრო ცივი ჩვენ დედა-მიწისაზედ. რადგან ასეთი გძელი დღე-ღამე აქვს მთვარეს, ჩვენ მხოლოდ ერთსა და იმავე მზარეს მთვარისას უნდა ეხედავდეთ, მეორე გვერდს მთვარისას მის დღეშიაც ვეღარ დავინახავთ და არც არა ვიცით-რა იმისი. მთვარე დედა-მიწაზე, როგორც ზემოთ ვთქვით, 360,000 ევრსის სიშორეზედ არის. უელის დედა-მიწას გარშემო ერთის თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შემოუვლის. იგი ამ გზაზედ წამში თითო ევრსტს გავიდის ხოლმე. და, აი, ამითი აიხსნება მთვარის ცვლილება, ხან სულ მთელს ბადრს ეხედავთ, ხან მის ნაწილებს: ნახევარს, მეთოხედს და ზოგჯერ სულაც არა. როცა აღარ ეხედავთ, იმას ჰქვია მთვარის გალევად და როცა პაწია ნამგლისოდნათ გამოჩნდება გალევას შემდეგ, მაშინ ვეძახით ახალ მთვარეს, ანუ მთვარე დაიბადაო. აქ ამ სურათზე გამოყვანილია მთვარის მთები, რომელსაც შორს უფსკრულს სივრცეში დაბნელებული მზე და აუარება ვარსკვლავები ზედ დაჰყურებენ.

მისი უშენიღოსობა უზმანის პატრიარქი და კათალიკოსი ყოველთა სომეხთა მკრტიჩ ხრიმიანი

აბა, მხენ მუშავ, შეაბი ხარი, კალო მხად არის ვასალეწადა, მოვახლოვდა ის ნეტარი დღე კეთილის თესლის შესაკრებდა... რაფთი.

I



კრტიჩ ხრიმიანი დაიბადა 1820 წელს ვანის ქალაქში. კათალიკოსობამდე ხრიმიანს გამოუცდიდა მრავალი მწუხარება და ბევრი სიკეთე უქნია თავის ხალხისათვის*).

პირველ დაწყებითი სწავლა მისცა ბიძა მისმა ხაჩატურამ, რომელმაც ყმაწვილს შეამჩნია არა ჩვეულებრივი ნიჭი. ეს სწავლა იყო წერა-კითხვა, საღეთო წერილი და გალობა. პატარა მკრტიჩ იყო კეთილი, მოაზრობილი და შრომის მოყვარე ყმაწვილი.

ბიძა თავის ძმისწულს უსაქმოდ არ აყენებდა. პაწია მკრტიჩ ხან ხაჩატურას ცხვრებს მწყსიდა, ხან ვანის შეწეიერ ბაღებში სწავლობდა ნაწყენისა და ვაზის მოვლას, ღვინის დაყენებას. პაწია მკრტიჩ არც შინ იყო ტყუილად გაჩერებული. ბიძა მისი სამოსლის ქსოვასაც კი ასწავლიდა.

რასაკვირველია, რომ შინაურმა მრავალგვაროვანმა აღზდა მდიდრი მნიშვნელობა იქონია მკრტიჩისთვის.

შემდეგ მკრტიჩის მასწავლებელნი შეიქმნენ ლომისა და კტუტის უდაბნოს ბერები*), რომლებსაგანაც იმან კარგათ შეისწავლა სომხური ძველი ენა (გრაფიკა — წიგნური) და სომხური ძველი ლიტერატურა.

მკრტიჩ ფიქრობდა მოშორებოდა სამშობლოს და ემგზავრა უცხო ქვეყნებში, იქ ყარბობა გაეწია, მაგრამ დედამ არ მისცა ნება და კოლი შერთო. მის ხელში ეყოლა ერთი ქალი და სახელად თატუა დაარქვა. მალე მობეზრდა მკრტიჩს უსაქმობა, მცირე მხნეობით საესე სიცოცხლე ეძებდა უფრო ერცელს ასპარესს. ამიტომაც საზოგადო ერის მსახურებისათვის დასთმო მიწდერები, სამშობლო ალაგი, საყვარელი კოლ-შვილი და გაემგზავრა სპარსეთისკენ; იქიდან გადავიდა კონსტანტინეპოლში, სადაც იგი მიიწვიეს მასწავლებლად ხასის სოფლის ქალების სკოლაში.

მაღალი ტანისა და შეწინიერი სხისა, დიდრონი თვალბინანი, საესე ენერგიითა, მკრტიჩი იყო საკეთი-

* ეს მოკვარაფა გამოკრფილია მალუმინანსა წიგნიდან და სხვა ურწალებიდან.

** ეს უდაბნოები სომხეთის ვანისა, ანუ ანთამარის ზღვაში იპოვიან.

რველი მიმზიდველი ყველასთვის. მისმა მშვიდობიანმა ხასიათმა მრავალი მეკობრები მოუპოვა, რომელნიც ეპყრობოდენ მას სიყვარულით და პატივისცემით. 1850 და 1851 წ., როცა კონსტანტინეპოლში გამოვიდა მისი „სალამი არარატს“ და „სალამი ალთქის ქვეყანას“, ეს პოეზიით საესე თხზულებები, მაშინ გამოჩნდა ჰაბუკი ავტორის ნიჭი და ტალანტი. ხსენებულ პოემებში გამოხატულია ორი გრძნობა: გრძნობა ქრისტიანული და გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა.

II

ხრიმიანი დიდი ხანი ცხოვრებდა უცხო ქვეყნებში, თავის ქვეყნისა და კოლშვილის უნაჯაგობათან-და-თან უფრო აწუხებდა; მუდამ ნატრობდა, თავის სამშობლო ქალაქს ვანს დაბრუნებულაყო, სადაც მიეტოვებინა მას სანატრელი კოლშვილი. ბოლოს 1853 წელს ეღირსა კიდევ დაბრუნება ვანში. მას აქ მოელოდა აუტანელი უბედურება. საყვარელი კოლ-შვილი აღარ დახვედრია ცოცხალი.

ამ უბედურებამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება იქონია მკრტიჩს ხრიმიანზედ. მან გადაწყვიტა გამოთხოვებოდა წუთისსოფლის სიტკომებას და განიზრახა ბერათ შედგომა, რომ მთელი თავის დანარჩენი სიცოცხლე სარწმუნოებასა და სამშობლოს სამსახურისათვის ემსხვერპლა. მართლდაც ხრიმიანი 1854 წ. თებერვლის 26 ს აღთამარის მონასტერში ბერათ ეკურთხა და იგი დანიშნეს ვარაგის მონასტერში.

ხრიმიანს სურდა აღთამარი და ვარაგი გადაეცია სომხეთის ერის განათლების ლაშკრათ. მან განიზრახა იქ სტამბისა და სკოლის დაარსება და ბერებისთვის ეწეწებინა ახალი გზა ნამდვილის მოღვაწეობისა. მაგრამ ბერებმა ძალიან იუცხოვეს ეს ამბავი, რადგან სწავლა-მეცნიერება მხოლოდ თავიანთ საკუთრებათ მიანდათ. ერში სწავლის გავრცელებამთ მანენებელი ეგონათ. ხრიმიანმა იმათ წინააღმდეგობას უტრადღებდა არ მიქცია და მეროდ წავიდა კონსტანტინეპოლს, საცა თავის მეგობრების შემწეობით იყიდა სტამბა თავის იარაღებთან; იქვე გააწყო ყოველივე, რაც სტამბას სჭირებოდა. ორს წელს შემდეგ, ესე იგი, 1856 წ. ისევ დაბრუნდა ვანში. მაგრამ ეერც ვარაგში და ეერც აღთამარში ადგილი ეერ იპოვნა, რომ სტამბა დაედგა და საქმე დაეწყო; აღთამარის კათალიკოსა, ბერები, ვარაგის სამღვდლოება წინ უდგებოდენ და ემუქრებოდენ ხრიმიანს. ბოლოს კი რამდენისამე მეგობრებს შემე-



წვობით, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ბერებზედ, სძლია მათი წინააღმდეგობა, გამართა ეარაგში სტამბა და საქმესაც შეუდგა.

ამ სახით 1857 წელს ხრიმიანმა დააარსა ამ მონასტერში ოთხი ეროვნული ახალგეიარი დაწესებულება.

ერთი — სკოლა, სრულიად ახალი წესწყობილებით და ახალი პროკრამით, საიდანაც უნდა გამოსულიყვნენ შკოლების მასწავლებლები და უფრო განვითარებული საღვდელთა.

მეორე — სტამბა. მესამე — ოჯახი არნაღი სახელად „არწიე ვასპურაკანი“ *) ხრიმიანი პირველი დამაარსებელი შეიქმნა სტამბისა და ყურნალობის ძველ სომხეთში.

მეოთხე — წაგნოსტაგვა-მუსეა, სადაც შეგაროვა ძველი წიგნები და სომხის სხვა-და-სხვა ძველი ნაშთები.

ამ დაწესებულებათა მიეკათ ხრიმიანის დაუღალავი შრომით შესამჩნევი წარმატება. ის დარჩა ამ მონასტერში 1862 წლამდე **).

ამ წელს სტამბოლის სომხის სასულიერო საეკრეგებამ დანიშნა იგი ტარონის მახრის არქიეპედ.

*) ვასპურაკანი იმ მახრის სახელია, სადაც იოზეფ ვარაგის მონასტერი: „არწიე ვასპურაკან“ ნიშნავს ქართულად ვასპურაკანის არწიეს. ბოლოს თვითონ ხრიმიანსაც ვასპურაკანის არწიე ი უწოდეს სახელად. ვ.ტ.

**) ხრიმიანის მოღვაწეობა ეარაგში შეგნირად აღწერილია სომხურ ენაზე რაფფის რომანში „ნაბერწყლები“. ვ.ტ.



ჰარიკი.

რად და წ. კარაპეტის მონასტრის გამგეთ. მუშის ქალაქის წ. კარაპეტის მონასტერი დიდი სახელოვანი მონასტერია სომხეთში. ყოველ წელს მრავალი მლოცველები მიდიან შესაწირავის მისტანად. ამ მონასტერს ბევრი ადგილ-მამული და დიდი შემოსავალი აქვს. ხრიმიანს უხაროდა, რომ ამ მრავალ შემოსავლით შესრულებდა თავის წაღილს სომხის ერის გასანათლებლად. მიიღოთუ არა ტარონის არქიეპოპა, ეარაგის მმართველად დანიშნა ერთი თავის განიერი და კარგი შეკირდთავანი. შემდეგ გაემგზავრა ტარონისკენ.

ხრიმიანის მოღვაწეობა და შრომა ტარონშიაც ისეთი ნაყოფიერი იყო, როგორც ეარაგში... მან იქაც დააარსა სკო-

ლა, სტამბა, საიდანაც სომხის ახალგაზდობა უფრო განვითარებული გამოდიოდა. აქაც იწყეს სომხური წიგნის დასტამება, აქაც გამოსცა ყოველთვიური ყურნალი, სახელად „არწიე ტარონა“, ესე იგი „ტარონის არწიეს ბახალი“. მის ხელში ტარონიც ისე აყვავდა, როგორც ეარაგი. როგორც იქ, ისე აქ, ხრიმიანი შეიქმნა სომხის განვითარებითი წარმატების მესვეური და მრავალი ახალითაობაც დააყენა ფეხედ.

1864 წლამდე ხრიმიანი მოღვაწეობდა, მესვეობდა ეარაგში *) და წ. კარაპეტში. ამ დროდან განითქვა მთელს სომხეთში და სხვა ქვეყნებშიაც, საცა კი სომხები ცხოვრებდნენ ხრიმიანის სახელი; მაგრამ რამდენათაც უფრო ძლიერდებოდა მისი გავ-

ლენა, იმდენათ უფრო სასტიკად სდევნიდენ ანგარების მოყვარე მტრები და ბოლოს ოსმალეთის მთავრობის დახმარებით კიდევ შეაჩერეს მისი ქველმოქმედება 1869 წლამდის. ამ წელს ხრამიანი ამოირჩიეს სტამბოლის სამეფო პატრიარქად. ამ დროდან იწყება მისი უდიდესი ღვაწლი სამშობლოსადმი. ოსმალეთის სამეფო საჯარო-სახელდაერო გამგეობა** დიდს განსაცდელში ჩაეარდა. მის დაარსებას აქეთ ჯერ ორი წელი არ გასულიყო, რაც ატყდა სომხის დეპუტატებს შორის ბრძოლა, პარტიობა და აღიარება. სომხის ეროვნული კრება ბრძოლის ასპარეზად შექმნილიყო; ოსმალეთის მთავრობას სწყევოდა ეს აშაფი და გეგმებინა საერო გამგეობის წარმოება; ხრამიანმა თავის გონიერული მოქცევით მოულობო გული სულთანს და დაიხსნა სომხის საერო-სახელმძღვანელო გამგეობა განსაცდელისაგან. იმან კელაე ფეხზე წამოაყენა იგი.

საპატრიარქო სასახლის ვალები ასულიყო 50,000 მანეთამდე. შემოსავალი კი არაიქნა იყო და ხარჯი დღე-ღამეზე ემატებოდა; მოვალეები აწუხებდენ. ხრამიანმა ამ მიმე საქმის დაბოლოებად თვითონ

იკისრა: შეაგროვა სომხეთში მრავალი შეწირულობა და იმან გადაიხდა ის ვალი.

შორეულ სომხეთის მატრებში სომხები ძალიან შეწუხებული იყენ ქურთებისაგან და მთავრობის მოქრთამე მოსამსახურეებისაგან; ეს უწესობაც ხრამიანის მეცნებით მოსაო სულთანმა.***)

პატრიარქი ხრამიანი დიდი მოთმინებით და მამობრივი სიყვარულით უმკლავდებოდა თავის მტრებს, მაგრამ ამათ სულ-მოკლეობას და ბოროტ-განზრახულებას საზღვარი არ მი.ცა. ბოლოს სათნოებით საესე ხრამიანი იქამდის მიიყენეს, რომ უარი განაცხადა პატრიარქობაზედ 1873 წელსა აგვისტოს 15-ს.

ნეტა ვინ იყენ ის მტრები, რომელთაც ხრამიანს ასე მოაბეზრეს თავი, რომ პატრიარქობაზე უარი ათქმევინეს. სასირცხლო და სამწუხაროდ ქვეყნისა უნდა გავტყდეთ, რომ მისი მოკამათე იყო ისევე თავის წრის საღვდლოება. იმან იხმარა ყოველი უმართებულო საშუალება და ბოლოს ბეზღობასაც მიმართა. ტყუილად კი არ დაუტრამაზნია ერთ სომხის ეპისკოპოსს, რომ ხრამიანის ჩამოკლება 22,000 მანეთი დაგეგჯდოა.†

დ. ტ.—ანკი.
(შემდეგი იქნება)

და ბ ა რ ე ბ ე უ ლ ი



შვიდობით, წადი, ბუღბუღო,
შვიდობით შენი მგზავრობა!
იერუსალიმს გაუვლი,
ჩაძახე ჩენი წახლობა,
ჩენი მუღმივი ლუბჭირი,
ჩენი მუღმივი შეცდომა.
ზღვა-ზღვა მიეცურაეთ უაზროდ,
ნიჩბების მოუსმელადა.
არც რასა ვდარდობთ, თვალით ბრმა
ბედი გვაყავს წინამძღოლადა.
გავალთ, თუ დავიღუბებით,
არა ვიცით-რა სწორადა.
იღარც გული გვაქვს, არც ჰკუა,
იღარც თაკილი სადმეა,
არა გვეონია სმა-ჰამას
გარდა სხვა საქმეც რამეა.

რომ გამობრუნდე, ბუღბუღო,
ეგებ რამ დაგაბაროსა,
ეველს წამალი ის არის,
ეგებ რამ მოგვაგვაროსა
თუ არა—რისთვისა ვიყო?
მეცა იქ მიმიბაროსა...
უთხარი ჩენსა შოთასა,
იქა ჰმარხია, მგონია.
სანამ ან საქართველოა,
ან ივერიის ძენია—
ისიც ცოცხალი იქნება,—
ნუ რაზედ მოუწყენია.
იქნება იმის ძეალ-ნაშთსა,
და შლილსა უცხო მხარეში,
ენატრებოდეს აქ წოლა,
ამ თავის ქართლის მხარეში?
მაგრამ ვინ ზრუნავს—სურყველა
გამბულა თავის საქმეში?
იქნება ბევრიც ინატრა
თავის სიკვდილის წამებში,
კიდევ ენახნა თამარი,
ჩასტკერებოდა თვალებში.

*) თუქცა წ. კარაქტში იყო მოღველე-მთავრად, მაგრამ მისი ხელი ვერაგ-შეიძ სწყდებოდა.

**) სომხებს ოსმალეთმა უწავლობა 1860 წელს ცალკე საერო გამგეობა, რომელსაც კონსტანტუპოლის უწოდებდნენ. ამ კონსტანტუპოლის ისტორია ცალკე დაიბეჭდება წიგნში. ივტ.

